

„ვამტკიცებ“

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

15 „01“ 2018 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი უფროსებში
II დონე

თბილისი

2018
31 იანვარი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- 2018 წლის დიდების საკლუბო ჩემპიონატისათვის კლუბების გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტება.

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ვაჟი ძიუდოსტები ვინც 2017 წლის საქართველოს ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღეს და ვერ დაიკავეს საპრიზო ადგილები.
- სპორტსმენებს უფლება აქვთ შეიცვალონ წონითი კატეგორია და იასპარეზონ მხოლოდ ზედა წონით კატეგორიაში.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს – თითოეული სპორტსმენი აწონვისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხვდება კენჭისყრის ბაღეში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2018 წლის 31 იანვარს, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი – 30 იანვარი, წასვლის დღე – 1 თებერვალი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათზე.

რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებ გვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>), სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2018 წლის 28 იანვრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 29 იანვარს ფედერაციის საიტზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრებაზე გამოვლენილ იქნება პირველი, მეორე და მესამე საპრიზო ადგილები. ნახევარფინალში წაგებული სპორტსმენები შეხვედებიან ერთმანეთს, შესაბამისად გამოვლენილი იქნება მხოლოდ ერთი მესამე ადგილი.
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
- 31 იანვარი – 60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;

აწონვა: თბილისში

30 იანვარი ქ.თბილისში, ძიუდოს აკადემია
60კგ; 66 კგ; 73 კგ; 81კგ; 90 კგ; 100 კგ; +100 კგ;
არაოფიციალური 16.00 - 17.00 საათამდე;
ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საორგანიზაციო კომიტეტი.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 322 51 64 66;

საკონტაქტო პირი – გიორგი ათაბეგაშვილი 595 21 25 23

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დისციპლინარული დარღვევის შემთხვევაში, ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს სპორტსმენთა მიერ მიღწეული შედეგის ანულირებაზე.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი